№ 25. 26 ივნისი (7 ივლისი) 1870 26 ივნისი (7 ივლისი) № 25.

გაზეთის ფასი

ილისში და გა-
ადგილებში: გაგზავნით — გაუგზავნელათ:
წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
თვისა — 2 — 50 კ. — — — 2
თვისა — 1 — — — — „ — 75 კ.
ერთის ნომრისა — — — „ — 15 კ.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება
და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულე-
ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ., ასო მთავრულებით
ასოზე 1/2 კაპ.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკეობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება:

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ — „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციის კანტორაში, მელი-ქიშვილის და კაჰ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში
თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ — ლ. ლ ო ლ უ ა ს თ ა ნ — პოლიციის ქუჩაზე მელქონ პალიევის სახლში.

ავტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ, რომლისამე მიზეზისა გამო, არ დაიბეჭდა.
თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილს სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ.

### ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

„დროების“ კანტორაში ხელის-მოწერა მი-ება „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“, ნახევარი წლის ვადით, ისის პირველიდამ ამ წლის ბოლომდი.— ასი ნახევარი წლის, გაგზავნით ᲝᲗᲮᲘ თია, გაუგზავნელათ — სამ მანეთ ნახევარი. ისაც სურს, შეუძლია პირველი ნომრი-ვე დაიბაროს წლევანდელი „დროება“.

### ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

საქართველო (სასოფლო სასამართლოები და ჩვე-აზნაურობა — ახალი წესდებულება მაჰმადიან ხიზ-ზე — მართლმადიდებლობის გავრცელება მთიულებ-— ფოთის პორტზე) — რუსეთი (ამბები) — უცხო ქვეყნები (ზერმანიის მდგომარეობა) — სამართალი ტილის საქმე, ორი ცოლის შერთვაზე) — ლიტე-ატურა (დიკკენსი და ტეკკერე) — ნარევი.
ფელტონი: მანგლისის გზაზე.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

### ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ

აზოგადოებაში, ამ უკანასკნელ დროს, რათ ისმის ლაპარაკი სასოფლო სასამართლოებზე და გლეხების ამორჩეულ მოსამართლეებზე. ზოგიერთი ჩვენი ნაბატონარებთაგანი, — რომელნიც აქამომდე სოფლის სასამართლოებს გაშტერებით და დაუნდობლათ შეჰყურებდენ, თითქო ფიქრობდენ, გლეხების ხელიდან და ჭკუიდან ხეირიანი რა უნდა გამოვიდეს, — ეხლა სიხარულით უთითებენ რამდენიმე მაგალითს და გულ-დაჯერებით ამბობენ — გლეხიდან კაცს სხვა იმედი რა უნდა ჰქონოდაო. ამავე სიტყვებს გაიგონებს კაცი ყოველ ძველებურ „ნამსახური“ პირებთაგან.

ეს ლაპარაკი, და ძველი კაცების სიხარული, იმ გარემოებამ ატეხა, რომ ზოგიერთ ალაგას, სოფლის მამასახლისებს და ზოგან მოსამართლეებსაც ცუდათ მოუხმარიათ ის უფლება, რომელიც იმათ სოფლელებმა მიანდეს. — როგორც წინეთ „დროებაშიაც“ იყო ნახსენები, ზოგიერთ მამასახლისებს მოუნდომებიათ პურის ნაკლულევანობის დროს ხალხის შევიწროება და ჩარჩების გაამხანაგება, საერთოთ გლეხ-კაცების დასატყუებლათ. — ზოგან შეუნიშნავთ კიდევაც, რომ მამასახლისები და მოსამართლეები ვითომც ქრთამსაც ხელს არ აკლებენო და მიდგომით სწყვეტენ საზოგადო საქმეებს, ან არ დაზდევენ სოფლისთვის სასარგებლო საქმეს, თუ კი ეს საქმე რომელიმე კერძო პირისთვის მავნებელია, — ერთი სიტყვით მამასახლისები ნამეტნათ უდგებიანო შემძლე და ხელ-გაშლილ პირებს და მათ გულისთვის ხანდისხან მთელ სოფლის სარგებლობას არ ზოგვენო.

ეს-დიდათ სამწუხარო საქმეა ყველასთვის, ვისაც კი თავისი ხალხის წარმატება და კეთილ-დღეობა სურს: მაგრამ, არც მარტო წუხილია შესაფერი ამისთანა საქმის განხილვის დროს.—

ხალხის ხასიათი ერთ-ორ წელიწადში კი არ შეიცვლება, არც ხუთში და არც ათში: ამ საქმისთვის მთელი თაობის გადასვლაა საჭირო. — მაგალითად, სანამ ჩვენში არ დაბოლოვდება ის თაობა, რომელიც ბატონ-ყმობის დრას იყო გაზდილი, და ამისგამო ბატონ-ყმობის აზრებით და ზნით არის გარყვნილი, მანამდი ჩვენი ხალხი და საზოგადოება ვერ მიატოვებს სრულებით იმ ხასიათს, რომელიც ბატონ-ყმობას გამოუზდია. — ბატონ-ყმობა აქ ჩვენ მაგალითად მოვიყვანეთ; ბატონ-ყმობის გარდა, ჩვენ ცხოვრებაში ბევრ სხვა წესებსაც ქონია გავლენა ხალხის ხასიათის მიმართულებაზე. ერთი ამ წესებთაგანი იყო უწინდელ დროში სოფლის გამგეობა, რომელსაც თავის ნაკლულევანებით სოფლელების ზნეობაზე ცუდი გავლენა ჰქონდა. შეიძლება თქვას კაცმა, რომ ბატონების უფლებამ, ერთის მხრით, და სოფლის გამგეობის ნაკლულევანებამ — მეორით, ცოტათი არ იყოს სოფლელების ხასიათი შეცვალეს: ისინი შეიქნენ ანგარების მოყვარე, ცრუ-მოწამე და სხვ. და რადგანც ხალხის ხასიათის გასასწორებლათ კაი ძალი დროა საჭირო, გასაკვირველ საქმეთ როდი უნდა მიგვაჩნდეს, როცა შევიტყობთ, რომ ბატონ-ყმობაში და უწინდელ წესში აღზრდილი ხალხი, გვარიან ხანს კიდევ ვერ იშლის უწინდელ ჯიშს, და კიდევ იხსენებს ადრინდელ ჩვეულებებს. . . . .

მადლობა ღმერთს, ეს ძველი ჯიში ძალიან ხშირათ არ ახსენდება ჩვენ ხალხს, და ეხლანდელ მდგომარეობაშიაც, ახალი სასოფლო სასამართლოები ათასჯერ და ათიათასჯერ თავწაყრით სჯობიან უწინდელ წესს..... ამის მიზეზი ის არის, რომ ეხლა ხალხი თავის სასოფლო საქმეებს მაინც თვითონ მმარ-

## ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

### ᲛᲐᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

#### კარი პირველი.

ზაფხულში თფილისიდან სოფლათ გასვლა ღვთის ამოვნო საქმეა.

. . . . . . . . . . . . . . . .

#### კარი მეორე.

სოლოლაკზე ასვლის დროს, კაცს რა ენატრება და ოცნდება?

ზე გვარიან ძალზე იყო გადახრილი დაოთისკენ, როცა ჩვენ ცხენებზე შევსკუპ- და სოლოლაკის აღმართს შევუდექით. რამ, თუმც საღამო ძალი მოახლოებული სიცხე ჩვენ და ჩვენ ცხენებს მაინც გვიწყვეტდა, მით უფრო, რომ გზაზე მის ახლო-მახლო ხისა და ბალახის სარაც არსაიდ იხსენიბოდა. მთებზე და მინებზე სიპი, ქვისა და მტვერის მეტი არა რა, ისე რომ მთელი არე, შორიდან, სი მელოტი კაცის თავების კრებას ემსგავსოდა.

ოლონდ აქა-იქ გამოჩნდებოდა ხოლმე ორი- ბუჩქი, რომელსაც ამ ქვეყანაში, — გაზლობით — ხეებს ეძახიან, და იმ ბუჩქებს შუა აქელი მცხოვრების აგარა, — კრამიტით გაფრული ქვითკირის ან და მტკიცე ხის, შით და გარეთგან შეტკეჩილი, სახლი. ამ გარშემო მისი სამზარეულო, მარანი, სხვა ამ გვარი შენობები არტყია, მერე ქები, ეზო და ბოსტანი, ბოლოს კარგი რი ლობე. ლობის გარეთ ათიოდე გლეხის ქოხი რჩება, მიწაში ჩაფლული და მი- გადახურული. ქოხებს უხეო და უბუჩქო ლევრისა და გორების მეტი არა ავლია რა. ა თქმა უნდა, რომ ეს მინდორი და გორ ვერც სიცხეს აცილებენ მცხოვრებს, ქარსა და ვერც სიცივეს...

ხელის გულივით ცარიელი მინდვრის და მთების დანახვა კაცის თვალს სიკვდილივით ეზარება, თურმე. ამისგამო თფილისელები ძალიან გულით უნდა სწუხდენ, რომ მთაწმინდაზე შარშან-წინ დარგულმა ხეებმა არ გაიხარეს, თუმც მთავრობას ამ კეთილი და სასარგებლო საქმისთვის არც შრომა დაუზოგავს, არც ფული, — ისე რომ, როგორც გამიგონია, მთა-წმინდის სიპზე ტყის გასაშენებლათ ხუთი ათას თუმანზე მეტი დახარჯულა.

მთა-წმინდაზე დარგული ტყის გაუხარლობა განსაკუთრებით იმას მოუკლავს გულს, ვინც გახურებულ სიცხეში სოლოლაკის აღმართზე ასვლას დააპირებს.

— ქრისტეს მადლმა, იფიქრებს ის, აქ ეხლა ერთი ხე სწორეთ იმდენათ ღირს, როგორც მთა-წმინდაზე დარგვის დროს თითო შტო დაჯდებოდა...

#### კარი მესამე,

რომლიდგანაც მკითხველი დაინახავს, რომ უფ. მოსე ჰიქოძის თხზულებას ჩვენთვის ცუდი გავლენა ექნება, განსაკუთრებით გზაში და ბოგირებზე.

უხეობის გარდა, სოლოლაკის აღმართზე ასვლის დროს, ჩვენი ცხენები ღელის ორმოებმა შეაწუხეს. — წამის წუმ ფეხ-ქვეშ თხრილი და ორმო გვხვდებოდა, ხან მშრალი და ხან წყლიანი, ზოგი თხელი და ზოგი ღრმა, და ამოდენა თხრილებს ფეხს აბა ვინ აუვლიდა? ჩვენი ცხენები შიგ ძალიან ხშირათ ფორხილებდნენ, და ერთ ადგილას, სადაც აღმართის მაგიერათ პაწაწინა დაღმართი შეგვხვდა, ჩემი ნაცნობის ცხენი ისე მაგრა წაფორხილდა, რომ მისი მხედარი უცფათ თავს გადაევლო, და ცხვირით ორმოს გაზომვას მისდგა; თვითონ ცხენმა კი მხედარი ლამის ბოგირათ გაიხადა.

— ვთქვათ, ვიფიქრე მე, როცა ამ შემთხვევამ რომ ხარხარი ამიტეხა, როგორც იქნა შევიწყვიტე — ვთქვათ, ჩემმა ნაცნობმა ბოგირების და გზის საჭიროება უფ. ჰიქოძის სტატიიდგან იგრძნო, და ამის მიზეზით ცხვირით ორმოს ზომვა დაიწყო; ეს აზრში მოსასვლელი საქმეა. მაგრამ, ამ ოხერ ცხენს უფ. ჰიქოძის აზრები ისე მშვენიერათ ვინ აუხსნა, რომ იმანაც ბოგირის კეთება მომინდომა, და კეთების დროს — უფ. ჰიქოძესავით — იმისთანა ალტაცებაში მოვიდა, რომ აღარც ის დაზოგა, რაც თხრილზე გასატანი ჰქონდა, და არც ის გაიხსენა, ექნება სხომის ბოგირზე გასაზიდი და გზაზე წასალები რამ, თუ არა?...

#### კარი მეოთხე,

რომლიდგანაც სჩანს, რომ ცხენი კაცივით თავმოყვარე ყოფილა.

როცა ჩემი ნაცნობი ფეხზე წამოდგა და უფ. ჰიქოძის მომხრე ცხენზე როგორც იყო ხელ-ახლავ შეჯდა, იქნებოდა საღამოს მეხუთე საათი და ჩვენი იმ დღევანდელი მგზავრობის მიზნამდი დაგვრჩენოდა ორმოც ვერსზე მეტი. ჩვენ წინ აღმართიანი მინდვრები გვიდვა, ცხენებს ჯერ ხუთი ვერსიც არ გამოევლოთ. ჩვენ ცოტათი სიარულის აჩქარება ვარჩიეთ და ცხენები ზოგმა თოხარიკით და ზოგმა ძუნძულით გავრეკეთ.

ის ცხენი, რომელიც წინეთ გზისა და ბოგირის მკეთებლათ დგებოდა, ფეხ-მტკივანე გამოგვიდგა: იმას ორივე წინა ფეხები კუნთის ტოლათ ჰქონდა გასივებული, და როცა მხედარი ცოტაოდენათ წინისკენ გადიწევოდა, ცხენის წინა ფეხები კანკალით მეტანიას იწყებდენ. მაგრამ, როცა ჩვენმა ცხენებმა სიარულს მოუჩქარეს, ავათმყოფმა ცხენმა არამც და არამც უკან ჩამორჩენა არ ისურვა, და მუხლების კანკალით, ოფლის ღვრით, ოხვრით და ხვნეშით თავდაუზოგველათ გამოჰქენდა, და არაფრის გულისთვის აღარ ჩამოცილდა ჩვენ ზორბა და კამბეჩივით გასუქებულ ცხენებს.

უნდა გენახათ მაშინ ამ ცხენის გაჭირვებული და თან თავ-გამომეტებული სახე, მისი ტანჯვა და ცდა, მისი ჰქენება და მუხლების კანკალი! ერთი თვალი რომ მოგეკრათ მაშინ ამ ცხენისთვის, მიხვდებოდით, რომ მის აზრში და გონებაში ერთი ფიქრის მეტი არა არის რა: — „თუნდ რომ მოვკვდე, ჩემ ტოლს უკან მაინც არ ჩამოვრჩებიო.“

#### კარი მეხუთე.

ახირებული ქების შესხმა (მიბაძვა სვიფტს)

ამ თავგაწირული ჰქენების მაყურებელი, მე ვფიქრობდი ასე:

„რა პატიოსანი და კეთილშობილი ოთხფეხი ხარ შენ, ჩემო უბედურო ცხენო, და რა ცუდათ გაფასებს შენ კაცი, რომელიც ხშირათ შენ ფეხზე ნალის აყრის ღირსიც არ არის!

„ტოლში და ამხანაგში, გვარით, ან სილამაზით, ან და პატრონის ღირსებით ამპარტავნობა შენ აზრშიაც არ მოგდის. დაოქრულ, ვერცხლის რახტ-იარაღში და გაფხეკილ გლეხურ კეხ ქვეშ, უბრალო თულუხჩისა და შემძლე დიდი-კაცის ხელში, შენ ერთ-და-იმავე გუნებაზე, ერთნაირათ თავდაბალი და გულწრფელი ხარ. შენ ზოგიერთ ჩვენ ყმაწვილ კაცებს არ ბაძავ......

„ტანსაცმელი და იარაღი კი არა, შენ სასმელ-საჭმელი და პატრონის ალერსიც ვერ აგალებინებს ხელს ნამუსზე. ოღონდ კი ცოტა თივა და ქერი გქონდეს, თუ არა და ჩალა, ღომის იყოს თუნდ სიმინდის, ანა და ბალახი, რომლის შოვნა შენ თვითონ სხვის შეუხვეწრათ შეგიძლია, — და შენ მეტი არა გინდა რა...

„ყველაზე უფრო კარგი და მოსაწონარი შენში ის არი, რომ ამისთანა თავდაბლობა და კმაყოფილება იმიტომ კი არ გჭირს, რომ თავმოყვარება არა გქონდეს. არა, შენ ძალიან დიდი თავის-მოყვარება და ამაყობა გიძევს გულში, მაგრამ ამ თავ-მოყვარების დასაკმაყოფილებლათ შენ კეიცურ რახტ-იარაღს

თავს, როგორც ურჩევნია და შეუძლია. ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია, მმართვაში ბევრი შეცთომა უნდა შეჰპაროდა. მაგრამ, როცა ხალხი ცოტათი მაინც განათლდება, და უწინდელი წესის დატოვებულ ჯიშს, ზნეს და ხასიათს დაივიწყებს, მაშინ საზოგადო საქმის მმართვა საზოგადო სარგებლობას და ბედნიერებას მისცემს ხალხს...

ამისგამო ყველა, ვისაც კი თავისი მამული და ხალხი უყვარს, იმას უნდა სცდილობდეს, რომ სოფლელებმა მოხელეების არჩევის დროს ყური არ ათხოვონ ზოგიერთ შემძლე პირებს, რომელთაც სურთ მაინცა და მაინც მათი გამგონი გლეხი აარჩევინონ სოფელს მამასახლისათ ან მსაჯულებათ.—პატიოსანი კაცების ვალია, შეაგონონ სოფლელებს, რომ მოხელეების დაყენება გარჩევით და წინდახედვით უნდა, და შეაჩვიონ გლეხ-კაცობა ამორჩეული პირების კვალში გულმოდგინეთ ჩადგომას, ისე, რომ უსამართლობა და უსინიდისობა არ გაებედვინონ და იმ გვარათ ამოქმედონ, რომ მამასახლისები და მოსამართლეები ხალხის ნამდვილი მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე ნ ი შეიქნენ.

---

ეხლა ორიოდე სიტყვას ჩვენ ნაბატონარებს გაუბედავთ: იმათ ბევრიც რომ იმდოვრონ გლეხ-კაცობას, ამითი მაინც ვერას შეიძენენ. თუ სასოფლო სასამართლოები უპატიოსნო და მიმდგომი შეიქნენ, ამითი მებატონეებს, თუ დააკლდებათ, თორემ არა შეემატებათ რა, ამიტომ რომ იმათაც ხშირათ შეემთხვევათ სასამართლოში საჩივრის შეტანა. Iსევ ის სჯობს, რომ ნაბატონარებმა ამ უქმ და მავნებელ სამდურავს თავი დაანებონ, გლეხების გათავისუფლებას შეურიგდნენ, და სხვაფრივ ეცადონ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესობა.—ღმერთმან და კაცმან ხომ იცის, რომ ხალხთან ერთობა და ძმობა ყველაზე უფრო ადვილათ მიაწევინებს აზნაურობას ამ მიზნამდი.

---

რუსეთს რომ ჩვენ მხარეში მაჰმადის სარწმუნოების ხალხები შეუერთებია ბაქოს, ელისავეტპოლის, ერევნის და Tფილისის გუბერნიებში, იქაურ დიდ-კაცობას იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა მათი ადგილ-მამული დაუმკვიდრა, და რაც ზედ ხალხი ესახლა, სახელმწიფოთ ჩათვალა, იმ პირობით, რომ ამ ხალხს ხიზნის წესით ადგილის პატრონებისთვის გადასახადი ეძლია.

აქამომდე, ამ მამულის პატრონების და ხიზნების შუა რა გაწყობილება უნდა ყოფილიყო, კანონში დაწვრილებით არ იყო გამოსახული. ეხლა, ხელმწიფე Iმპერატორს 14 წასულს მაისს ახალი წესდებულებების დამტკიცება უნებებია, რომლითაც განისაზღვრება ადგილის მეპატრონის და მოსახლეების ერთმანეთშუა დამოკიდებულება, და ერევნის, ელისავეტპოლის და ბაქოს გუბერნიებში იმ გვარივე სოფლეხ-კაცო საქმეების გასარჩევი ადგილი იმართება, როგორიც Tფილისს და ქუთაისსაა გამართული 1864 და 1865 აქეთ.

*

რუსეთელი გაზეთი „ხმა“ (*Голосъ, 160*) ამბობს, რომ აქაური უმთავრესი გამგეობის და უწმინდესი სინოდს შუა მიწერმოწერაა გამართულიო იმ საგანზე, ვითომ დიდ-მთავარსნამესტნიკს აფხაზეთში ბერების მონასტრის გამართვა სურდეს, აფხაზებში მართლმადიდლობის გასავრცელებლათ. ამას გარდა აფხაზეთში ერთი მართლმადიდებელი ეკლესიის განახლებას აპირებენო, აგრეთვე როგორც ოცი რუსული პატარა მონასტრების (двор) დაარსებასო. Iმათთან სკოლა გაიმართება, რომელშიაც იმ მონასტრების ბერები დაინიშნებიან მასწავლებლებათ, რადგანც იმ მონასტრებში სასულიერო აკადემიიდან გამოსული პირები იქნებიან ჩარიცხულნიო.

*

ჩვენ გვწერენ ფოთიდან, რომ იქაური პორტის საქმე ხელ-ახლავ ჩაყუჩდაო. წლეულს, „კავკაზში“ დიდი ბაასი იყო ამ პორტის საქმეზე. უფ. შავროვს (პორტის ამშენებელს) ბევრი გამკიცხველი აუტყდა, და თვითონ მთავრობამაც ისურვა პორტის გარემოების გაგება. ამ განზრახვით გაგზავნეს ფოთს უფ. Tიზენჰაუზენი, რომელმაც წლეულს თებერვალში პორტი დაათვალიერა, და უკან დაბრუნდა. მოიწონა იმან პორტის მუშაობა თუ არა, ეს არავინ იცის, მაგრამ პორტი კი ისევ უწინდელ მდგომარეობაში რჩება თურმე. უწინ (როგორც უფ. შავროვი სწერს), ზღვის ქიებმა შეჭამა ხის სვეტები, ეხლა ზღვის წყალი ქვების ქვეშ ქვიშას რეცხს თურმე და კედელს ანგრევს. მაგრამ,—გვწერს კორრესპონდენტი—ჩვენ დიდი იმედი იმისა გვაქვს, რომ ზღვას ამოდენა სიავე როცა იქნება მობეზრდება, და მაშინ უფ. შავროვს პორტის გაშენება დაცალდებაო.

---

# რუსეთი

—ხელმწიფე იმპერატორი სამძღვარს გარეთ ბრძანდებოდა მაისის თვეში. ეხლა მას ვარშავში მოელიან, და, როგორც „კავკაზის“ ტელეგრამმა გვაცნობებს, ის კიდევაც მობრძანებულა ამ ქალაქში. ვარშაველ ხალხს, რასაკვირველია, აღტაცებით მიუღია ხელმწიფე იმპერატორი.

*

კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, ყუბანის და Tერქის მაზრებში, გაისს ახალი წლიდამ, შემოღებული იქნება ახალი სამოსამართლო წესი და ადგილები, ისე, როგორც ჩვენშია.

*

დონის ყაზახების მაზრაში, უმაღლესის ბრძანებით, დაწესდება მომრიგებელი მოსამართლეები, მაგრამ ჯერ კიდევ სამაზრო სუდი და პალატა არ იქნება შემოღებული. მაგიერათ, მომრიგებელი მოსამართლეები ამორჩეულები იქნებიან, როგორც მთელ რუსეთში.

(*Голосъ, 156*)

„მმართებლობის მოამბეში“ სწერია, უმაღლესი ბრძანებით, ამ ... სახელმ... რჩევაში შინაგანი საქმეების მინისტრის ... ტანილი პროექტი იშინჯებაო, რომელი... ლანდელ პასპორტის წესს აადვილებსო.

*Спб. Вѣд. 154.*

„მმართებლობის მოამბეშივე“ გამოც... ბულია, რომ კავკასიის ნამესტნიკის ნებართ... პიატიგორსკის, ჟელეზნოვოდსკის, ესენტ... და კისლოვოდსკის მადნეული წყლები, ... ისოთ, კერძო პირებს მიეცემათ, იჯარით.

*Голосъ, 158.*

ფინლიანდიის სენატს ერთი მშვენიერი ... წყვეტილობა მიუღია: პეტერბურგში ეხლა გამოფენაა გამართული, მისი და... ლიელრებათ ხელოსნები (მუშები) გა... ნოსო, და მათ გზის ხარჯათ სამი ათას ... სი (3,500) მარკა დაერიგოსო (მარკა ... შაურია). რადგანც ფინლიანდია პეტერბ... ძალიან ახლო აკრავს, ამ ფულით გამო... დათვალიერება ბევრ მოხელეს შეეძლებ...

(*Голосъ,*

მმართებლობას განუზრახია გიმნაზიის ... დებულების გამოცვლა. ამ საგანზე „პე... ბურგის უწყებებში“ სწერენ, რომ ეხლან... წესის უმთავრესი ნაკლულევანება, როგ... საქმით აღმოჩნდა,—ლათინური და ბერ... ლი (კლასსიკური) ენების გადაჭარბე... სწავლის ნამეტანი დიდი ფასიაო.

(*Спб. Вѣд.*

ამავე საგანზე სწერენ კიდევ, რომ ... ხო განათლების მინისტრმა ცალკე კამ... დანიშნაო, რეალური გიმნაზიების გასა... ლებლათ. მკითხველმა უნდა იცოდეს, ... რეალური გიმნაზიებში ძველ ენებს ... ასწავლიან: მათ მაგიერათ იქ ბუნების ... გნების სწავლაა შემოღებული.

(*Голосъ,*

ესტლიანდიაში გლეხები ძალიან შევი... ებულ მდგომარეობაში არიან, იმით, ... ტყე და მამული მებატონეების ხელში ... ამის გამო იქიდან ძალიან გახშირდა ...

---

როდი ეძებ. შენ საქმით გინდა დაიმსახურო შენი ტოლის და ხალხის პატივისცემა, გინდა, რომ შენი ყოფა-ქცევის, სიმარდის და სიკეთის მაყურებლები შენში ხასიათს, ძალას, თავ-გამომეტებას და პატიოსნებას შენატრიდნენ,—ერთი სიტყვით, შენში იმას აფასებდნენ, რაც შენ თვითონ ჯაფით, ცდით და მოხერხებით აგიზდია შენში... ესაა ნამდვილი თავმოყვარეობა და ცხენის დამამშვენებელი სიამაყე. უამისოთ ცხენს ცხენი როდი ჰქვია...

„შენშია სწორეთ ამ ნაირი თავმოყვარება და სიამაყე. ლხინში და გაჭირვებაში, თამაშში და საქმეში შენ თავს მოიკლავ, ოღონდ კი ტოლებს ძალით და სიმარდით უკან არ ჩამორჩე. შენი რაინდული ხასიათი მოსვენებას არ გაძლევს, მინამ ან უსულოთ არ დავარდები, ან შენი ტოლი და ამხანაგი, შენი სიმარჯვით აღტაცებული, ხვიხვინით არ შემოგეხვევა და წინ არ წაგიძღოლებს...

„შენ კი გენაცვალონ შენი მხედრები!“

კარი მეექვსე.

ვაჭარ კაცს, ფულის გარდა, თურმე ტყე და მამულიც უყვარებია.

წასაკითხავათ ეს ქების შესხმა სამი წუთის საქმეა. მაგრამ მე ამას თუთხმეტი ვერსის განმავლობაში ვფიქრობდი, სანამ თვალსა და ხელ-შუა კარგა-ლამაზათ არ შემოგვებინდდა. ღამე, ჩვენდა საუბედუროთ, ძალიან ბნელი დგებოდა. მთვარე დავახშმებული იყო, და ჩვენი გულის გასახეთქათ, ჩვენებურ ახალ-გამდიდრებულ ყმაწვილებივით, სუფრაზე სულის დალევას აპირებდა, თითქო მთელი ქვეყნის გაკვირვება უნდოდა:—შემომხედეთ, რამდენ ნაირი საჭმელის და სასმელის შოვნა და სუფრაზე დადგმა შემიძლიაო!

ბნელ ღამეში, მერე სოფლის გზაზე, ჩვენ ადვილათ შეგვეძლო დაებნეულვიყავით, და, მართალი ვთქვა, დაბნევის ძალიანაც გვეშინოდა. ამის გამო, როცა ერთ მოხუცებულ ვაჭარს წამოვეწიეთ, რომელიც ღვინის საპალნებს ცხენით მისდევდა, ჩვენ მაშინვე სალამი მივეცით და გამოველაპარაკეთ ჯერ გზაზე, მერე ღვინოებზე, შემდგომ ვაჭრობაზე, და ამ ნაირათ გზის ამხანაგათ გაუხდით.

რასაკვირველია, ყველაზე უფრო ჩვენ იმაზე უნდა გვემეცადინა, რომ მარჯვე გზას არ ავცილებოდით, და თან ადგილების ვითარებაც გაგვეგო. მოხუცებული ვაჭარი სიტყვებზე ძალიან უხვი და იქაური გარემოებების მცოდნე გამოგვადგა, ასე რომ, როცა ჩვენ ერთ უბრალო კითხვას გამოვთქვამდით,—მაგალითად: ეს რა ადგილია,—ის დაწვრილებით წილადობილის ამბავს მოგვიყობოდა.

— ეს, ჩემო ბატონო, ა—ის ტყე გახლავს,—ხომ მოგეხსენებათ ა—ის ამბავი, აი, კნიაზ ვარანცოვის დოხტური რო იყო? ეს ტყე სიგძითაც ხო კაი ძალი ჩამს, სიღრმით უფრო დიდი იქნება. კარგი დაგემართოთ, კარგი მამული ეს იყოს. ა—იმ აქ ზავოდი გამართა, მაგრამ ზავოდის საქმეში შეუჩვეველი იყო, და ისე ვერ ისარგებლა...

— ხო ხედავთ; აქ რამოტენა ტყე და მამულია—ეს სულ მისია. Iქით კი, აი, გზა რო გადის, იქ მეორე მდიდარი მებატონის მამულებია. უცხო ადგილებია, თქვენმა მზემ... დაჯექ შიგ და დაიძეხი, მე შენ მოგახსენებ, არ გეყოფა!...სწორეთ იტყვი, ნეტაი შენ პატრონს თქო!

ამ ლაპარაკში ორი ვერსი არ გვექნებოდა გავლილი, ვაჭარმა რაღაც შენობები დაინახა და ხელ-ახლავ მოჰყვა:

— აი, აქაც იმათი მამულებია...კაი შემოსავალს აძლევს, თქვენმა მზემ!..მთელ ქალაქს რაც შეშა ან თივა უნდება, სულ ერთიანათ აქედან მიაქვთ.—Iანგარიშეთ, აბა, რა მოვა? ქალაქის ახლო ამისთანა ტყე იშვიათია.

ორიოდე ვერსის შემდგომ, რაღაც ღმერთი გამიწყრა, ხელახლავ ის კითხვა წამომცდა, ეს მშვენიერი საყანე ადგილები ვისია მეთქი.

—ეს, ვისი უნდა იყოს? გაკვირვებით შემომძახა ვაჭარმა,—იმათია. არ გვანან ესენი ზოგიერთ ჩვენებურ ზარმაც მებატონეებს, ადგილ-მამული უპატრონოთ რომ უგდიათ, ანა და პრიკაზის ვალებში ეკარგებათ. აი, კაცები ამათთანა უნდა: შემძენიც კარგები არიან და მომხმარნიც....

ამ საგანზე ვაჭრის სიხარბემ ფრთები გამოისხა: ვაჭარი სწორეთ გასივებული თვალით შეჰყურებდა მდიდარი მეპატრონეების მამულს, და წამის-წუმ ხან ჩვენ გვითვლიდა მათ სიმდიდრეს, ხან ოხვრით ნატრულობდა მათ ადგილას ყოფნას, და ამატებდა: „ჩვენც უნდა ვთქვათ კაცები ვართო! აფსუს!“

ამ სიხარბემ საშინლათ გაგვიჭირვა საქმე, ისე რომ, როცა ჩვენმა მგზავრმა გზაზე ერთი დუქანი შეამჩნია და მისკენ გადაუხვია, ჩვენ ცხენები დავქუსლეთ და პირდაპირ გაუჩერებლათ მანგლისის გზას დავადექით.

კარი მეშვიდე.

ზღაპარი, რომელიც ამტკიცებს, რომ სიხარბე ხანდისხან კაცის ტანისამოსისთვისაც მავნებელია.

(ყმაწვილების შესაშინებლათ)

რაკი ჩვენ ყბედ და ხარბ მგზავრს მოვცილდით, მე მისმა სიხარბემ ერთი ძველი ზღაპარი გამახსენა. ჩემ მკითხველებში შვილების პატრონიც ბევრი ურევია; იმათ სასარგებლოთ მე აქ ამ ზღაპარს მოვიყვან, ამიტომ რომ ის დედ-მამებს შვილებში სიხარბის მოსაკლავათ გამოადგებათ.

„Iყო და არა იყო რა, იყო ორი მეტისმეტათ ხარბი კაცი, ისეთები, რომ დედ-მამას არ დაზოგავდნენ, გაყიდდნენ თავიანთი მუცლის და თვალის დასაკმაყოფილებლათ. სასმელ-საჭმელში, ფულის შეძენაში, პატივის ძებნაში, ერთი სიტყვით, ყოველიფერში ისინი გაუმაძღარი სვავები იყვნენ.

„რაები ჩაიდინეს ამ ხარბებმა, ვინ იცის... თუნდ რომ კიდევაც იცოდეს, ვინ ... ეს კი ვიცი, რომ სიყმაწვილიდან ისინი... საც კი წაავლებდნენ ხელს, პირში იტ... და, რაც პირში არ ჩაეტეოდათ, ჯიბეში ... ხავდნენ. ამ ნაირმა ცხოვრებამ ერთი ... ლებლათ გაასივა, ისე რომ კარგ ნასუქ... მიგავსა, რომელსაც სისუქნისგან ლამის ... შემოასკდეს ტანზე. მეორე კი ჩხირივით ... ლი დარჩა, მაგრამ ძალიან მაღალი გა... და, როგორც გინახავთ კარგი ლაზა... ჭოლოკი.

„დიდხანს ისინი არაფერ სისაძაგლე... სიმდაბლეს ხელს არ აკლებდნენ, და ეს ... ირო ყოფაქცევა პატივ საცემრათაც მიაჩნ... მაგრამ ერთხელ ისინი ზღვის პირს სა... ნოთ გავიდნენ, და იქ რაღაც ახალ სი... ლეს ამზადებდნენ თავიანთ გულში. ზღვიდან თავი ამოჰყო ერთმა რაღაც ... ურმა სულიერმა, რომელმაც თვალ-მა... ბით მათი ყოფაქცევა იმ გვარ შესაზა... და უპატიოსნო საქმეთ დაინახა, რომ ს... სირცხვილით კინაღამ დაიწვნენ. Iსინი ... ვე თავიდან ფეხებამდი გაწითლდნენ, და... დან ამოსული თვალთ-მაქცის ძალით, ... წითლე იმ წამსვე მათ ტანისამოსს გად... ერთს მარტო სარჩული გაუწითლდა, ... ორეს სიწითლემ ტანსაცმელის პირამდ... გაუწია.

—„უველაზე უფრო შესანიშნავი და ... მაქცური ის იყო, რომ სირცხვილით ... ლებული ტანსაცმელი სვავებს სამუ... ტანზე მიეწება, ისე რომ მისი მოცილე... თვის შეუძლებელი საქმე შეიქნა...

ამ ზღაპარს დედ-მამა კარგ გასაგე... რომ მოუთხრობდეს ხოლმე ყმაწვილებ... ში სიხარბე დიდებში თუ არა, ყმაწვი... მაინც მალე მოიშლება...

ნ. საკან...

20 Iვნისს 1870 წ.

კოჯორი.

...ის გადასახლება სხვა გუბერნიებში, სადაც უფრო ადვილი საშოვარია. წლეულს ... წლიდან პირველ მაისამდი, გადმო... ... ამ მიზეზით ათას სამას ორმოცდა... სული (1343)

(*Голосъ*, 153)

...ოლშის არეულობის დამშვიდების შემ... მმართებლობამ დააწესა, რომ დასავ... მხარეში რაც პოლშელებს მამულები ...თვნის, პატრონებს უსათუოთ რუსებისთვის უნდა მიეყიდათ ორი წლის გამავლობაში, თუ არა და, თვითონ მმართებლობა ...ყიდდა, აუქციონით. ამას გარდა, არეულობაში გარეული პირების მამულები მმართებლობამ კანონისამებრ, მიითვისა (конфискація). ახლა გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ მამულებთაგან მმართებლობას გაუყიდია, ან იაფ ფასათ დაურიგებია სხვა და სხვა პირებისთვის ხუთას ორმოცდა რვა (548) მამული ... ოთხი სახლი, შიგ ორი მილლიონი სამას ...ორმოცდა ოთხი ათას ექვსას ორმოცდა ათი (2,344,650) მანეთი აუღია.

(*Спб. Вѣд.* 155)

ოდესსაში იქაური ქალაქის თავი ლომბარდის გამართვას აპირებს თურმე. ლომბარდი ისეთი ბანკია, რომელშიაც კაცს შეუძლია სხვადა სხვა ავეჯეულობა დააგიროს, ...ლათ ფულის სასესხებლათ. შიგ აგრეთვე ...ძლება ფულის შეტანა, შესანახავათ და ...გებლის მოსამატებლათ. ძალიან კარგი ...ქნება, ამგვარი ლომბარდი ჩვენ თფილისშიაც ...რომ გაიმართებოდეს საქალაქო გამგეობასთან.

*

—პეტერბურგის გაზეთები სწერენ, რომ შინაგანი საქმეების მინისტრი, მყოფი მესამე განყოფილების ...როსი, ღენერალი ტიმაშევი და გამოჩენილი პეტერბურგის უფროსი პოლიცმეისტერი, ღენერალი ტრეპოვი უმაღლესი ბრძანებით წასულან ვარშავს, რამდენიმე დღ ს ვადით.

---

# უცხო ქვეყნები

## გერმანიის მდგომარეობა

(ისტორიული მიმოხილვა)

წასულ საუკუნეში გერმანია ასზე მეტ სამთავროთ იყო გაყოფილი; მთელი შუაგული ევროპა, რომელიც გერმანიის ქვეყანას შეადგენს, პაწაწინა სამთავროებათ ჰქონდათ დარიგებული სხვა და სხვა მთავრებს. ეს მთავრები თავ-თავის ქალაქებში სცხოვრებდენ, და მამა-პაპურათ მმართავდენ თავ თავის ხალხს, უკანონოთ, უწესოთ, ისე, როგორც ქეიფი მოუვიდოდათ.

ზოგიერთი ამ მთავრებთაგანი შეძლებულნი შეიქნენ მით, რომ სხვა და სხვა სახელმწიფოებს შუა როცა ომი ატყდებოდა, ეს მთავრები თავიანთ ქვეშევრდომებიდგან ჯარს შეადგენდენ და მეომრებს მიაქირავებდენ, ვინც უფრო მეტ ქირას და სარგებლობას მისცემდა. ხანდისხან ისეც კი მოხდებოდა, რომ ერთ რომელსამე მთავარს ათასი კაცი, ვთქვათ, ერთი მხრისთვის მიექირავებია, და ათასი მეორისთვის, ასე რომ ომში ერთი და იმავე ქალაქის ან მაზრის მცხოვრები ერთმანერთს ებრძოდენ, და თავიანთ საკუთარ ძმებს და ნათესავებს კლავდენ და კოდავდენ, მთავრის ჯიბის გასასქელებლათ. ჯარის გაქირავების გარდა, ეს მთავრები თავიანთ თავსაც მიაქირავებდენ სხვა ქვეყნების ხელმწიფეებს. როცა საფრანგეთის მეფეები გერმანიის დაჩაგვრას და დამცირებას სცდილობდენ, იმათ მუდამ მიქირავეები ყავდათ ოცი, ოცდა ათი გერმანიელი მთავრები, რომელნიც, საფრანგეთის ოქროს გულისთვის, თავისი საკუთარი სამშობლოს დამცირებას და დაცემას ამზადებდენ.

ამგვარათ მოქმედებდენ მთავრები სახელმწიფო საქმეებში. ოჯახობაში ხომ, რაღა ლაპარაკი უნდა, ისინი უარესათ იქცევოდენ: ყოველ მთავარს, თავის პაპაწინა სამთავროში სასახლე ჰქონდა გამართული, და შიგ დიდკაცური, ბატონიშვილური წესი და ხარჯი ჰქონდა; ყველა იმას სცდილობდა, რომ საფრანგეთის სასახლის რიგი, წესი და ბედოვლათობა დიეარსებია თავის ერთი ციდას ტოლა სამთავროში. ის კი არაფის მოდიოდა აზრში, რომ სამი, ან ოთხი ათასი სულის პატრონი მთავარი ვენაფრის ნაირათ ვერ წაეტოლება ოცი მილიონი სულის პატრონ მეფეს, და იმოდენა ხარჯს ვერ გასწევს, თავის თავის და ხალხის დაუღუპველათ.—

ეს აზრი, როგორც ვთქვით, არავის ახსოვდა, და ყოველი მთავარი შინ ვერსალის *) სასახლეს ბაძავდა.—იმ დროს საფრანგეთის სასახლეში ძალიან გარყვნილობა იყო: მეფეს აშკარათ მრავალი საყვარლები ყავდა, და დიდკაცობაში ქალები აშკარათ ეძებდენ შემთხვევას მეფის საყვარლათ გახდენილიყვნენ. გერმანიის მთავრები, რასაკვირველია, ვერც ამ წესს დასტოვებდენ მიუბაძავათ; ამისგამო მთელ გერმანიაში ხალხის სიღარიბეს და უპატრონობას უშველებელი გარყვნილობა დაემატა...

ამისთანა უბედურ მდგომარეობაში იყო გერმანია, როცა საფრანგეთში ხალხმა თავისი შინაგანი წესი გამოცვალა და, სამეფოს მაგიერათ, რესპუბლიკა დააარსა.—გერმანიის მეფეებს და მთავრებს ეგონათ, რომ ჩვენი საკუთარი ხალხიც მიბაძავს საფრანგეთისასო, და მოინდომეს თვითონ საფრანგეთშივე ხელახლავ უწინდელი წესი დაეფუძნებიათ და იქაური სამეფო ტახტი აედგინათ. გერმანიის მთავრები და მეფეები შეერთდენ, ჯარი გამოაწვიეს, ინგლისი, რუსეთი, ჰოლლანდია და იტალია დაიხმარეს და საფრანგეთს ომი დაუწყეს. მაგრამ საფრანგეთის ხალხმა აღტაცებით დაუდგა წინ თავის მტრებს, და ჯერ საკუთარი ქვეყანა დააცლევინა იმათ ჯარს, მერე თვითონვე იმათ ქვეყანაში შევიდა და ბევრ მთავრებს ღირსება ახადა. ამასობაში თვითონ საფრანგეთში რესპუბლიკის დამაარსებელი პირები დაიხოცნენ, და მათ შემდგომ ყველაზე უფრო გაძლიერდა ერთი ახალგაზდა აფიცერი, რომელმაც ომებში დიდი ნიჭი გამოიჩინა. ეს იყო პორუჩიკი ბონაპარტე, რომელმაც შემდგომში იმპერატორი დაირქვა, და სახელათ ნაპოლეონ პირველი მიიღო.

ნაპოლეონმა მთელი გერმანია დაიარა თავისი ჯარით, როცა ხან ავსტრიას, ხან პრუსსიას და ხან რუსეთს ეომებოდა. ამ სიარულის დროს იმან თვითონაც წაართვა ტახტი და მთავრობა ბევრ უწინდელ მთავრებს; ყოველ ადგილას, სადაც კი თავისი ჯარი შეჰყავდა, თან ახალი საფრანგეთის კანონები და წესები შეჰქონდა. უწინდელ უწესოების და უსამართლიანობის მაგიერათ, საფრანგეთის ახალი კანონები, თავისი სამართლით და გაწყობილებით, ხალხს სუნთქვას აბრუნებინებდენ, და ცოტათი არ იყოს კაცურ ცხოვრებას აჩვევდენ. მართალია, ნაპოლეონს მარტო თავისი საკუთარი სარგებლობა ჰქონდა სახეში, როცა ახალი კანონები შეჰქონდა გერმანიაში: იმან იცოდა, რომ ამ ახალი კანონებით აღტაცებული ხალხი სამუდამოთ დაემდურებოდა და ჩაუმტერდებოდა თავის უწინდელ მთავრებს. მაგრამ, საქმე იმაში კი არ არის, რა ჰქონდა გონებაში ნაპოლეონს: აქ ის არის შესანიშნავი, რომ გერმანიის ხალხმა დაინახა, რომ მამა-პაპური უწესობა თურმე ღვთის დაწესებული და აუცილებელი ბედი როდი ყოფილაო, თურმე სხვა ნაირი, უფრო სამართლიანი და კეთილი წესიც შესაძლებელი ყოფილა ჩვენთვისო.

ეს აზრი და გრძნობა შეიტანა გერმანიაში საფრანგეთმა. ნაპოლეონის ამაყი ჯარის და სალდათების ცქერამ, ნაპოლეონის გენერლების და ახალ დაყენებული მეფეების მაგალითი, რომლიდგანაც ბევრი უბრალო გლეხებთაგანი იყო, ძალიან ააღელვა გერმანიის ხალხი, და ახალი წესების შემოღების სურვილი მისცა.

მაგრამ ნაპოლეონი „სხვა ქვეყნის“ მეფე იყო გერმანიელებისთვის; მისი ჯარი „უცხო ქვეყნის ჯარი“ იყო, რომელიც „გერმანიის პურს სჭამდა, და გერმანიის ქალებს ელერსებოდა...“ და როცა რუსეთში დამარცხებული ნაპოლეონი საფრანგეთში ბრუნდებოდა, როცა მას, რუსეთის ჯარს გარდა, ავსტრიის და პრუსსიის მეფეები და ზოგიერთი მთავრები მოსდევდენ თავიანთი ჯარით, როცა ამ მთავრებმა და პრუსსიის მეფემ გერმანიის ხალხს საომრათ მოუწოდეს, საფრანგეთის წინააღმდეგ, და ახალი თავისუფალი წესის შემოღებას დაჰპირდენ, მთელი გერმანია ფეხზე ადგა „სამშობლოს დასაცველათ.“

მაგრამ, როცა ნაპოლეონი დაეცა და ილაჯგაწყვეტილი საფრანგეთი დაემორჩილა მთელი ევროპის შეერთებულ ჯარებს, გერმანიის მთავრებმა ძალიან მალე დაივიწყეს თავიანთი დაპირება, და, ახალი წესის შემოღების მაგიერათ, ძველებური ჩვეულებაების გახსენება მოინდომეს.—მაგრამ, თუმც უწინდელმა მთავრები ძალიან ბევრი ეცადენ ხელ-ახლავ მთავრათ დამდგარიყვნენ, ოცდა ხუთმეტზე მეტმა მაინც ვერ იშოვნა ეს ღირსება.

ათას რვაას თუთხმეტში რომ ეს ცვლილებაები მოხდა, ხალხი საშინლათ გულდაკოდილი დარჩა. მის აზრში ხელ-ახლავ საფრანგეთის დიდება ადგა, რომელსაც ერთობა და თავისუფლება იმოდენა ძალას აძლევდა, რომ მთელი ევროპის პირისპირობა შეეძლო. ამ მაგალითმა გერმანიელებსაც ჩაუნთო გულში გერმანიის ერთობის გრძნობა... გერმანიის უმჯობესი შვილები ერთობას და თავისუფლებას ქადაგებდნენ და ხალხი ამ ქადაგებას მხურვალეთ თანაუგრძნობდა.

ორმოცდა რვამდი მთავრებს ძალიან სუსტათ ახსოვდათ თავიანთი დაპირება, და ძველი წესები ძალიან ღრმათ ჩანერგული იყვნენ მათ სასახლეებში და სამთავროებში. მაგრამ ამ ორმოცდა რვაში, როცა საფრანგეთში არეულობა მოხდა და ხელ-ახლავ რესპუბლიკა დაარსდა, გერმანიის ხალხშიაც ნაპერწკალმა გაჰკრა, და მთავრებს უცფათ გაახსენდათ ოცდა ცამეტის წლის წინათ გამოთქმული აღთქმა. მაშინვე ყველა სამთავროებში ახალი კანონების და წესის ფაბრიკები გაიმართა: თავისუფლების დამაარსებელი წეს დებულებები თოვლსავით ეყრებოდა თავზე გერმანიის ხალხს. ყოველგან გაიმართა პარლამენტები, დაარსდა ახალი, საფრანგეთიდან გადმოტანილი, სასამართლოები და შემცირდა პოლიციის ძალა...—ფრანკფურტში (მაინზე) შეიკრიბა მთელი გერმანიის ს ა ე რ თ ო პარლამენტი, რომელსაც გერმანიის ე რ თ ო ბ ა და თავისუფლება უნდა დაეარსებინა...

მაგრამ ცოტა ხნის შემდგომ საფრანგეთში ახალი წესი მოჰკაფეს, და ამ შემთხვევამ გერმანიის მთავრებსაც აუხილა თვალები და დაანახა, რომ დაპირების დავიწყება ხელ-მეორეთაც შესაძლებელიაო. მაშინ ყველა მთავრებმა პარლამენტები დაშალეს, ბევრი მწერლები, დეპუტატები და სწავლულები დახერიტეს, უფრო მეტი ციხეებში ჩასვეს, და ურავლესი სამშობლოდან გადევნეს...იმათ ეგონათ, რომ ამნაირი მოქმედებით ისინი სამუდამოთ დაავიწყებინებდენ ხალხს, რომ გერმანია შიგნით უთავბოლოთ და უხეიროთ იმართვებოდა, და სიღარიბეში ილუპებოდა, გარეთ კი არავის არაფრათ არ მიაჩნდა, და ყველასგან შეურაცხყოფილი იყო.

მაგრამ, ხალხმა მაინც არ დაივიწყა თავისი სურვილი და რწმუნება,—რომ ორმოცი მილიონის სულისგან შემდგარ ხალხს რამე მნიშვნელობა და ძალა უნდა ჰქონდეს ქვეყანაში. ამ მნიშვნელობის მოპოვება და ერთობის დაარსება იკისრა თავისებურათ, პრუსსიის მმართებლობამ, და ცოტათი კიდევაც შეასრულა თავისი განზრახვა. შემდგომი მიმოხილვა დაგვანახვებს, თუ რანაირათ იმოქმედა ამ შემთხვევაში პრუსსიამ და რა ნაირ მდგომარეობაში ჩააყენა იმან როგორც თავისი თავი, ისე მთელი გერმანიაც.

*) ვერსალი პარიჟის ახლო ქალაქია, სადაც წასულ საუკუნეში საფრანგეთის მეფეები სცხოვრებდენ თავიანთი სასახლით.

---

# სამართალი

## ატტილის საქმე

(ორი ცოლის შერთვა)

შარშან ოქტომბერში, ნიჟნი-ნოვგოროდის ოლქის სასამართლომ ღირსების ახდა და ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა ერთ ახალგაზდა კაცს, სახელათ ატტილს, რომელსაც პირველი ცოლის სიცოცხლეში მეორე ცოლის შერთვას აბრალებდენ.

‡

ატტილი მდიდარი და დიდ-კაცის უკანონო შვილია. მამა მისმა ეს სახელი გამოუგონა, დიდ-კაცურათ გააზრდევინა, და კაი ძალი ფულიც დაუტოვა, თავის სიკვდილის შემდგომ. ახალგაზდა კაცმა ერთი მშვენიერი ქალი მოიწონა, ცოლათ შეირთო და ახალნაქორწილევს ცოლიანათ საქეიფო მგზავრობა დაიწყო. ახალ-გაზდა ცოლ-ქმარს არც ქეიფი ეზარებოდათ, არც ფულის ფანტვა; მათი ცხოვრება ძალიან ტკბილათ მიდიოდა და მასთან ატტილის მამის დანატოვარი ფულებიც. მაგრამ ცოლ-ქმარი ისე ბედნიერი იყვნენ ერთმანერთის სიყვარულით, რომ ფულის ანგარიში, ჯიბის დაცარიელებამდი, აზრშიაც არ მოსვლიათ. თუ გინდ ქმარს რომ გახსენებოდა თავისი ჯიბის მდგომარეობა, როგორ უნდა დაეკავებია რამე საყვარელი ცოლისთვის, რომელიც სიყმაწვილიდან იმნაირათ შეჩვეული იყო ყოველი თავისი სურვილის ასრულებას, რომ ერთი ნამცეცა უარის თქმაზე შავი ღურბელივით იღუშებოდა? ჯიბე კი არა, მთელი ქვეყანა შავს წყალს წაუღია, ოღონდ კი ახალგაზდა ცოლის შუბლი მწყრალათ არ შეიღუშოს! ფიქრობდა ატტილი, და უდარდელათ აცარიელებდა მამის სკივსებს.

‡

სკივრები მალე გაცარიელდენ. ახალგაზდა ცოლ-ქმარს შავი დღე დაადგათ თავზე: გაჭირვება, უფულობა და მაშასადამე მობეზრებაც. ნაზათ გამოზდილმა, სიამოვნებაში გაჩვეულმა და დიდ-კაცურ უსაქმოების მოყვარე ცოლმა ამოდენა განსაცდელი ვერ აიტანა, და ერთ მშვენიერ დილას...თავისი ნარნარათ-ნაყვარები ქმარი მიატოვა, სიამოვნების და უდარდელ, უზრუნველ ცხოვრების სხვებთან მოსაძებნათ.

ამ გვარათ ატტილი დარჩა უგროშოთ, უსაქმოთ და უცოლოთ.

‡

მაშინ ეს ყმაწვილი, რომელიც აქამომდი უდარდელათ სიამოვნების სმის მეტს არაფერს შვრებოდა, დატრიალდა, თავის საშველათ. ბევრი ჯაფის, წვალების და განსაცდელის შემდგომ, იმან როგორც იქნა, ერთ პროვინციალურ თეატრში ადგილი იშოვნა, და მალე ძალიან მოცადინე და ნიჭიერი აქტერის სახელი შეიძინა, ისე რომ პუბლიკამ გულწრფელათ შეიყვარა ის. ამ შრომით ირჩენდა თავს ატტილი გვარიანი ხნის განმავლობაში, და თავის ამხანაგებ შუა, როგორც ნაცნობებშიაც, მის პატიოსან შრომას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა.

‡

ვლადიმირის ქალაქში, სადაც ატტილი ერთ ხანს თეატრში თამაშობდა, იმან გაიცნო, სხვა აქტერებს შუა, ერთი ახალგაზდა ქალი, რომელიც თავისი მშვენიერი ნიჭით და პირის-

სახით ვლადიმირის თეატრს ამშვენებდა. ატტილს მალე შეუყვარდა ეს ახალგაზრდა ქალი, რომელმაც ამ შემთხვევაში მაგიერობა უყო. მაგრამ, მათ შეერთებას და ბედნიერებას ატტილის უწინდელი გვირგვინი უშლიდა.

+

ამ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ ეს ორი ახალგაზრდა არტისტები, როცა ერთ დღეს ატტილს წიგნი მოსდის, რომელშიაც იმას აცნობებენ, რომ მისი ცოლი სააქაოს ნამეტანმა ნეტარებამ საიქიოს გაგზავნაო. აღტაცებული ატტილი, რომელიც აღდგომის კვერცხივით შენატრიდა და მოელოდა ამ ამბავს, გარბის თავის საყვარელთან, და მაშინვე ჯვრის-წერის და ახალი სახლობის თადარიგს იწყებს.

რასაკვირველია, დაგვირგვინებამ დიდ-ძალი დრო არ მოითხოვა: იმავე ზაფხულში, ნიჟნი-ნოვგოროდში, იარმორკის დროს, ორი არტისტის ჯვრის-წერა აუთვალავი ხალხის დასწრებით მოხდა.

+

რამდენიმე ხნის შემდგომ, მთავრობას ატტილის პირველი ცოლიდგან განცხადება მოუვიდა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ატტილმა პირველი ცოლის სიცოცხლეში მეორე შეირთოო. კანონისამებრ, ამ განცხადების მიღება, და გამოძიების დანიშვნა, ერთი იყო, და რაღა თქმა უნდა, რომ გამოძიებამ ადვილათ აღმოაჩინა ატტილის დანაშაულობა...

+

გამოძიების შემდგომ საქმე სასამართლოში გადაიცა. რუსეთში ეხლა, სისხლის სამართლის გაჩენა ნაფიცი პირების ხელშია: სასამართლო შეიკრიბება იქ როგორც ჩვენშიაც, მაგრამ თან ესწრებათ საზოგადოებაში და ხალხში ხვედრით ამორჩეული და დაფიცებული თორმეტი კაცი. ამ თორმეტი კაცის წინ, პროკურორს გამამტყუნებელი საბუთები მოჰყავს, და მოსარჩლეს (ადვოკატს) გამამართლებელი. როცა ეს ორი მხარე ბაასს ათავებს, სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ადგენენ კითხვებს: დამნაშავეა ესა და ეს კაცი ამა და ამ დანაშაულობაში თუ არაო, სწერენ ამ კითხვებს ქაღალდზე, ნაფიც პირებს აძლევენ და ისე ისტუმრებენ ცალკე ოთახში. იქ ნაფიცი პირები ერთმანერთში საქმეს არჩევენ, და პასუხს აძლევენ კითხვებზე, ან „ჰო, დანაშაულია,“ ან და „არა, დანაშაული არააო.“ — ამ პასუხს ნაფიცი პირები სასამართლოს თავმჯდომარეს აძლევენ, რომელიც მაშინვე არჩევს წევრებთან, რა სასჯელი ერგება დამნაშავეს, კანონით, იმ დანაშაულობისთვის, რომელშიაც ის ნაფიცებმა გაამტყუნეს.

ეს წესი იმიტომ არის შემოღებული, რომ დამნაშავე პირები თვითონ „საზოგადოების სინიდისმა“ იცნოს დამნაშავეთ (ასეა გამოყვანილი სახელმწიფო კანცელიარიის განმარტებაში), და არა მუდამ კანონებში გართულმა, ხალხისა და საზოგადოების ზნეში გაუჩვეველმა მოსამართლეებმაო. მაგიერათ, დასჯის ამორჩევა და გადაწყვეტა, რომელიც კანონის ცოდნას თხოულობს, თვითონ სასამართლოს წევრებს აქვთ მინიჭებული.

+

ეს სასამართლოს წესის გძელი აწერა ჩვენ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ უამისოთ ატტილის შემდგომი ბედი გაუგებარი იქნებოდა ჩვენი მკითხველებისთვის. ეხლა კი, იმედი გვაქვს, მკითხველი ადვილათ გაიგებს დანარჩენ მოთხრობასაც.

მაშ, როგორც ამ ამბის დასაწყისშია ნათქვამი, ნიჟნი-ნოვგოროდის ნაფიცებმა ატტილი მტყუანათ იცნეს, და სასამართლოს მწევრებმა ციმბირში გადასახლება გაუწესეს.

+

ეს ამბავი რომ გაზეთებში დაიბეჭდა, მთელ რუსეთში ერთი ხმით ყველამ თქვა, რომ ეს გადაწყვეტილება უსამართლო რამ არისო. გაზეთებმა მაშინვე თქვეს, რომ უბედური ატტილი მისმა პირველმა ცოლმა გაალარიბაო, და ღარიბი, უპატრონო მიატოვაო; ეხლა, როცა ატტილმა თავისი შრომით და პატიოსნებით თავის რჩენა შეიძლო, და პატიოსანი ოჯახი თავის საყვარელ და მისსავით მშრომელ ცოლთან გაიწყო, იმის ბედნიერება სამუდამოთ უნდა დაილუპოსო და ეს ორი ჩინებული და პატივსაცემი ცოლ-ქმარი უნდა დაიკარგონ ერთი ბედოვლათი, უსინიდისო და ოჯახის მიმტოვებელი ცოლის გულისთვისო! ეს აზრი მთელმა რუსეთის განათლებულმა საზოგადოებამ გაიმეორა.

+

სასამართლოს გადაწყვეტილებაში რაღაც შეცდომა მოიხდინათ; ამის გამო სენატმა მაშინვე დაარღვია მთელი გადაწყვეტილება, და საქმე, კანონისამებრ, მეორე ოლქის სასამართლოს გადასცა გასასინჯველათ.

ვლადიმირის ოლქის სასამართლოში, 30 წარსულს მაისს, ამ საქმის ხელმეორეთ გაშინჯვას ძლიერ დიდი ხალხის კრება დასწრებია. ნაფიცები, უმეტესი ნაწილი, მდაბალი ხალხიდგან ყოფილან.

ატტილს, მოსარჩლეთ გამოჩენილი მოსკოველი ადვოკატი, თავადი ურუსოვი, ჰყოლია. საქმის განხილვის შემდგომ, ნაფიცებს თავიანთი პასუხები გამოუტანიათ, რომლითაც ატტილი ხელ ახლავ სრულ დანაშაულათ იყო ნაცნობი.

+

როცა სასამართლოს ეს პასუხები წაუკითხეს, ხალხმა უშველებელი უკმაყოფილება გამოაცხადა, ისე რომ სასამართლოს თავმჯდომარე იძულებული შეიქნა ზარით გაეჩუმებინა აღელვებული ხალხი. მაშინ ურუსოვმა ხელ ახლავ სიტყვა დაიწყო, და გაახსენა სასამართლოს, რომ კანონი ნებას აძლევს იმას ხელმწიფე იმპერატორს თავისი გადაწყვეტილება წარუდგინოს და შეევედროს ატტილის პატიებას.

სასამართლოს წევრები მოსალაპარაკებლათ გავიდენ, და აღელვებული ხალხი გულის-ძგერით უცდიდა მათ უკან დაბრუნებას. ბოლოს სასამართლო გამოვიდა, და თავმჯდომარემ გადაწყვეტილება წაიკითხა, რომლითაც, ნაფიცების პასუხის თანხმათ, ატტილი ციმბირში გადაისახლება, ღირსების ახდით. მაგრამ, მასთანავე, სასამართლოს დაუწესებია, ეს გადაწყვეტილება ხელმწიფე იმპერატორს წარვუდგინოთ, ვედრებით — სრულიათ მიუტევოს ატტილს მისი დანაშაულობა და სასჯელიო.

ამ გადაწყვეტილების თანხმათ, ატტილი მაშინვე გაათავისუფლეს არესტიდგან, რადგანც მას ურუსოვი თავდებათ დაუდგა.

+

ამ უბრალო საქმეს ძალიან დიდი გავლენა ექნება შემდგომში, როგორც ცოლქმრობის საქმეებზე, ისე — იმედია — იმ კანონებზე, რომლითაც ეს საქმეები იმართვიან. — ასეც რომ არ იყოს, ამ საქმეზე ხეირიანათ დაფიქრება მაინც ღირს.

გ. ჯ ი ო ჯ ა ნ ი.

# ლიტერატურა

## დიკკენსი და ტეკკერე

მაისის დამლევს გარდაიცვალა ინგლისში სახელ-გათქმული მწერალი ჩ ა რ ლ ზ დ ი კ კ ე ნ ს ი, რომელიც ამ უკანასკნელი ოცდაათის წლის განმავლობაში მთელი ევროპის და ამერიკის მკითხველ საზოგადოებას განსაკუთრებით მოსწონდა და უყვარდა. ინგლისის დედოფლის ბრძანებით, დიკკენსი დამარხეს ვესტმინსტრის ტაძარში, სადაც მარტო ძლიერ სახელ-გათქმული და მამულის დამამშვენებელი პირები იმარხებიან. იმავე ტაძარში დაედგმება დიკკენსს ძეგლი, რომლის გასაკეთებლათ მთელ ინგლისში შეკრებენ ფულს. ეს პატივიც ძალიან იშვიათია ინგლისში.

ის კაცი, რომელსაც ინგლისის დედოფალი და საზოგადოება საქვეყნოთ ამნაირ პატივს აძლევენ, იყო უბრალო მწერალი, რომელმაც მთელი სიცოცხლე რომანების წერაში გაატარა, — მერე როგორი რომანების წერაში? — მისი რომანი ჩვენებურმა მკითხველმა რომ ხელში აიღოს, მართალია, სანამ არ გაათავებს, ხელიდან არ გაუშვებს, მაგრამ ბოლოს კი ამას იტყვის — რა მასხარა ყოფილა ეს მწერალი, თვალიც კი დასდგომიაო! — მართლაც დიკკენსის თხზულებაებს თითქო ერთი მიზნის მეტი არა აქვთ: — მკითხველის გამხიარულება და გაცინება; და ეს მიზანი თითქმის ყველა მის თხზულებებში მშვენიერათაა მიწეული. დიკკენსის თხზულებები მკითხველს ნიადაგ აცინებენ და ახარხარებენ, — თითქმის მაშინაც, როცა თხზულების საგანი სამწუხარო და შესაბრალისია.

მაგრამ თვითონ ამ „მასხარობას,“ ამ სიცილის ატეხას თავისი მიზანი ჰქონდა, დიკკენსის აზრში. ხუმრობით, ნაზი დაცინებით და კასკასით, დიკკენსი ინგლისის საზოგადოების სუსტ და უხეირო მხარეებს ხატავს, და მკითხველს აცნობებს ინგლისელ სისულელეს, უგუნურობას, და უსამართლოებას. მკითხველი მის თხზულებაში თავისი ნაცნობების და მეგობრების, ხშირათ თავის საკუთარ სახესაც ხედავდა, და თან იცინოდა იმათ ბაიბრუობაზე, თან უკეთესს ზნეს და ყოფაქცევას ეჩვეოდა. დიკკენსის „მასხარობას“ და „ხუმრობას“ ბევრი ცუდი ჩვეულებაები ამოუკაფია ინგლისში და ბევრი ცუდი და უგნური კაცები შეუძაგებია საზოგადოებისათვის.

ამასთანავე დიკკენსი მკითხველს უბედურების და ღარიბების თავს შეაბრალებდა, და გაჭირვებული ხალხის შეწყნარებას უძრავდა გულში. მართალია, ამ შებრალებას და შეწყნარებას იმისთანა ძალა არა ჰქონია, როგორც ზოგიერთი სხვა მწერლების თხზულებაში; დიკკენსის კალმის ქვეშ, ის გრძნობა უფრო თხოვნას, ვედრებას გავდა; ჩამოაგრამ ეხლანდელ საზოგადოებაში ეგეც კარგია. მაგიერათ, დიკკენსის თხზულებაში სიღარიბე და უგნურობა დიდის გრძნობით და გულმხურვალეთაა გამოხატული, ასე რომ მისი სურათები მკითხველს ხანდისხან ძილსაც უტეხენ, თავიანთი სიმწარით. ამ გვარია, მაგალითად, დიკკენსის რომანი „ოლლივერ ტვისტი“ და ზოგიერთი სხვებიც.

დიკკენსის რომანებში სხვაზე უფრო შესანიშნავიშემდგომია: „პიკვიკის კლუბი,“ „დავით კოპერფილდი,“ „დომბი შვილით,“ „ნიკოლა ნიკელბე“ „გაჭირვებული დროება,“ „ორი ქალაქის ისტორია“ და სხვ.

ეხლანდელ ინგლისის ლიტერატურაში დიკკენსისთანა საყვარელი მწერალი ინგლისელებს ტეკკერეს მეტი არავინ ყოლიათ. ტეკკერე მოკვდა ექვსი წელიწადია მას აქეთ, 1864-ში. მისს თხზულებებში უფრო ძლიერი ჭკუა და ფიქრი მოჩნდა მინემ დიკკენსის რომანებში; ტეკკერეს დიკკენსზე უფრო კარგათ ესმოდა, რაში მდგომარეობს ეხლანდელი ცხოვრების სისაძაგლე და ვნება; ის ხატავს განსაკუთრებით იმისთანა სურათებს, რომელიც არათუ მარტო სასაცილო, მაგრამ საძაგელი და მავნებელია, და მის სურათებში უფრო სასტიკათ წყევლა და გინება გამოისმის, მინემ გულ-ტკბილი სიცილი. ამგვარია, მაფალითად მისი მთელ-ქვეყანაში გათქმული რომანი „ამაოების ბაზარი“ და დანარჩენი მისი თხზულებები, როგორც „ნიუკომები,“ „ვირგინიელები“ და სხვ. ყველა ამ თხზულებებში სასტიკათ [illegible] ინგლ… დიდკაცობა, მისი [illegible], ს… მდაბლობით და ოსტატურათ დამალული … ყვნილობით, მისი ანგარობით და ხალ… დაუზოგველობით. ერთი სიტყვით, დიკკ… მკითხველის პატიოსანი და გულ-მტკბ… დამრიგებელი და გამხიარულებელია, ტე… რე კი ჭკვიანი, გონიერი და მუდამ მა… ლი ხალხის ზნის გამსწორებელი და საზო… დოების გამშოლტველი. დაცინებას დიკკ… სი მკითხველის მხიარულებისთვის ხმარ… ტეკკერეს ხელში კი დაცინება საზოგად… ბის გამწრთვნელი და დამაჭკვიანებელი ი… ღია.—

როგორ გაუკვირდება ჩვენ მკითხ… როცა შეიტყობს, რომ ინგლისის მაღ… საზოგადოების გამაუპატიურებელი, მასხ… ამგდები, და ტალახში გამსვრელი მწერ… ტეკკერე ინგლისის ხალხმა, საზოგადო… და დედოფალმა იმავე ვესტმინსტრის ტა… ში დამარხეს, სადაც დამარხული არიან ინ… ლისის უპირველესი პირები, ძალიან დი… პატივის ნიშნათ! ეხლა ტეკკერე და დიკკ… სი ერთათ წვანან, ინგლისის დამამშვენებ… და გამძლიერებელი პირების გვერდით. ა… დან ჩვენმა მკითხველმა უნდა მიხვდეს, რ… განათლებულ ქვეყნებში, განათლებული ხა… ხი თავის დამრიგებელ და ზნის გამსწო… ბელს კი არ შეურაცხყოფს და სდევნის, … თავისი უპირველესი გმირების ტოლათ მ… აფასებს, მეტათ თუ არა.—

# ნარევი

იმ დღეს ჩვენ ცრუ-გამომძიებლის ამბავი … უყევით მკითხველს („დროება,“ 23, ნარევი), … რუსული გაზეთები სამ შემთხვევას კიდევ გვიამბ… მოსკოვში ერთ გაიძვერას კვარტალნი დაურქმევია, პასპორტების თხოვნა დაუწყია მუშა ხალხისთვის. … საც, მისი აზრით, ცუდი პასპორტი ჰქონდა, იმას … მანეთს, ხან ორს და ხან სამს ახდევინებდა. ამნა… ცრუ-კვარტალნს დიდ-ძალი ფული შეუგროვებია.

*Голосъ, 151.*

მეორე მაგალითი: ერთ სასწავლებელში ვიღაც … ცეული მისულა, და ინსპექტორი დაურქმევია თავის … ვისთვის. მისდა საუბედუროთ, ის მთვრალი შესულ… სწავლებელში და მასწავლებელი მაშინვე მიმხვ… ეს კაცი უთუოთ ცრუ-ინსპექტორი უნდა იყოსო. … გამო, ეს კაცი სატუსაღოში ჩაუსვამთ.

*

მესამე მაგალითი: ვოლოგდაში დაუჭერიათ … ცრუ-პოლკოვნიკი, რომელსაც ინსპექტორი დაურქ… თავისთვის და ჯარი დაუთვალიერებია. პოლიციას … ლოთ მაშინ გაუგია მისი სიცრუე, როცა ცრუ ინ… ტორს ნამეტნათ ხშირათ დაუწყია მთვრალობა და … კიტნოში თრევა.

*(Спб. Вѣд. …*

გასაკვირველი ის არი, რომ ხალხი ასე ადვ… უჯერებს ყოველს გაიძვერას, რომელსაც კი უ… სათ თავი მოაქვს...

*

პეტერბურღის გაზეთებში მოყვანილია ორი მაგა… თი თავის-კვლისა. ერთ გიმნაზიის მოწაფეს, რომე… მეორე წელიწადი იჯდა მეშვიდე კლასში, მისთანა … თხვა შეხვდენოდა ეგზამენზე, რომელიც იმ წელს … ესწავლათ. მასწავლებელმა ცუდი ნიშანი დაუსვა; … შინ ყმაწვილმა კაცმა შევიდა ოთახში, და თოფით … ვი მოიკლა.

*Голосъ, 150.*

ამ შემთხვევაზე „პეტერბურღის უწყებებში,“ (… *Вѣд. 156*) სწერენ, რომ ეს ამბავი ხელ-ახლავ ა… ცებს ეგზამენების უსარგებლობას და ვნებასო: გ… ნებული მთელი წლის განმავლობაში კარგათ სწა… ლობდა როგორც მასწავლებლების წიგნებიდან … და ეგზამენზე კი ცუდი ნიშანი მიიღოო. ამასგ… ეგზამენის წესი (გიმნაზიის წესდების 65 §) … ლობს, რომ ეგზამენს მთელი პედაგოგური კრება … სწროს. — ნიკოლენკის ეგზამენს კი ორი მასწავ… ლის მეტი არავინ დასწრებიაო, და ისინიც ც… ცალკე ეგზამენს აჭერინებდენ მოსწავლეებსო.

მეორე მაგალითი უფრო საზარელია. მედიკო-ხი… გიული აკადემიის სტუდენტი გადმოვარდნილა … ეტაჟის ოთახიდან, თავის მოსაკვლელათ. „პეტერბუ… პოლიციის უწყებაები“ ამბობენ, გამოძიებამ აღმოაჩ… რომ ეს ყმაწვილი სიღარიბემ და საშუალოების … ლობამ აიძულეს ფანჯრიდან გადმოვარდნასო.

*Голосъ, 155.*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюня, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშ…